



საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL



N 1035
21/05/2020

ზუგდიდი

1035-02-4-202005211242



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე და 52-ე მუხლების, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის №31 დადგენილების, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის №31 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილების უფროსი მაგდალინა თოდუა.
2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს უზრუნველყოს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს: საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ და საქართველოში მოქმედი საჯარო ინფორმაციის გაცემის წესების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
4. დაწესებულების თანამშრომლები ვალდებული არიან დახმარება გაუწიონ პასუხისმგებელ პირს ინფორმაციის დამუშავებაში, მათი ფუნქციების (სამუშაოთა აღწერილობა) შესაბამისად, თუ დასამუშავებელი ინფორმაცია სცილდება პასუხისმგებელი პირის სპეციალიზაციის სფეროს.
5. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (<http://zugdidi.mun.gov.ge/>) გამოქვეყნება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლალიძის ქ. №12).

გიორგი შენგელია

მერი